

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

როგორ ვიკითხოთ უკეთესად

ბელა დურგლიშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი
რეზიუმე

სწავლებისა და აღზრდის პრობლემების არსებობა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმის აუცილებლობაში, რამდენად უცვლელად უნდა აყალიბებდეს მოზარდებში ლიტერატურის სწავლება მარადიულ ზნეობრივ და სამოქალაქო ღირებულებებს.

თანამედროვე საერთაშორისო გამოწვევების ფონზე კიდევ აქტუალური გახდა საგანმანათლებლო მოთხოვნა, დავიბრუნოთ ტრადიციული დამოკიდებულება წიგნის, როგორც სულიერი სიცოცხლის საწყისის მიმართ.

საგანმანათლებლო პროექტის – „როგორ ვიკითხოთ უკეთესად“ მსვლელობაში, განსაკუთრებით აქტუალური იყო ის საკითხი, რომ პროექტის იდეა მოსწავლეებში აღმოჩენისა და დაკვირვების მეთოდის ეფექტურად გამოყენების შემდეგ დაიბადა.

პროექტის მიზანი საინტერესო და სასარგებლო პერსპექტივას გვთავაზობდა, რადგან მოსწავლეებმა შეძლეს: მხატვრულად წაკითხათ და წარმოედგინათ ტექსტი. როლებში განესახიერებინათ ნაწარმოების პერსონაჟები. აუდიტორიამდე მიეტანათ მხატვრული ნაწარმოების მთავარი სათქმელი. პროექტის განხორციელებამ ხელი შეუწყო მეტაშემეცნებისა და კოგნიტური აზროვნების (თანამშრომლობის, თვით-მონიტორინგის, მონაცემთა ანალიზისა და ინფორმაციის შეფასების უნარების) განვითარებას;

მიმართულების მიმცემი საკვანძო კითხვების მეშვეობით გამოწვევების შექმნა სხვადასხვა ცხოვრებისეულ კონცეფციებთან კავშირის დასამყარებლად;

თითოეულ მოსწავლეში არსებული უნიკალური - ინდივიდუალური და შემოქმედებითი - პოტენციალის გამოვლენა ლიტერატურის სწავლების საფუძველზე;

ლიტერატურის თავისებურებებიდან გამომდინარე, თავისა და სამყაროს შეცნობის ინდივიდუალური პერსპექტივის გაჩენა და გათავისება;

პიროვნებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო გარემოში მოსწავლის მიერპიროვნული გამოცდილების საფუძველზე მხატვრულ ტექსტებში ასახული სიღრმისეული და ცხოვრებისეული პრობლემების გააზრება და შეფასება;

ლიტერატურასთან ურთიერთობის შედეგად მოსწავლის მხატვრული და ესთეტიკური გემოვნების, შინაგანი აქტიურობისა და თვითშემეცნების სურვილის გაღვივება და განვითარება.

საკვანძო სიტყვები: სწავლება, მხატვრული ტექსტი.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

როგორც არ უნდა იყოს ეპოქა, რა საგანმანათლებლო და რეფორმისტული მოთხოვნებიც არ უნდა წამოჭრას 21-ე საუკუნემ, რა რაციონალური და პრაგმატისტულიც არ უნდა გახდეს თანამედროვე ადამიანის, მოსწავლის აზროვნება, ვფიქრობთ, არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ სწავლებისა და აღზრდის პრობლემების არსებობა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმის აუცილებლობაში, რამდენად უცვლელად უნდა აყალიბებდეს მოზარდებში ლიტერატურის სწავლება მარადიულ ზნეობრივ და სამოქალაქო ღირებულებებს.

საერთაშორისო სტატისტიკური კვლევების მიხედვით, ჩვენი მოსწავლეების დიდი ნაწილი კითხვის სათანადო ტექნიკას ვერ ფლობს, წიგნი, როგორც სულიერი ზრდის საწინდარი, ნაწილობრივ მაინც, იგნორირებულია და კომპიუტერული ტექნიკითა და მედია საშუალებებით ჩანაცვლდა. თანამედროვე საერთაშორისო გამოწვევების ფონზე, კიდევ უფრო აქტუალური გახდა საგანმანათლებლო მოთხოვნა, დავიბრუნოთ ტრადიციული დამოკიდებულება წიგნის, როგორც სულიერი სიცოცხლის საწყისის მიმართ.

პრობლემის გაცნობიერება და ინფორმაციის ფლობა, უპირველეს ყოვლისა, დახმარებას გაგვიწევს პრაქტიკული ღონისძიებების მიზნობრივ, ეფექტურ დაგეგმვასა და სწრაფი რეაგირებით პრევენციული საკითხების მოგვარებაში.

საგანმანათლებლო პროექტის- „როგორ ვიკითხოთ უკეთესად“ მსვლელობაში, განსაკუთრებით აქტუალური იყო ის საკითხი, რომ პროექტის იდეა მოსწავლეებში აღმოჩენისა და დაკვირვების მეთოდის ეფექტურად გამოყენების შემდეგ დაიბადა. საპროგრამო ლიტერატურული ზღაპრის გაცნობისას მოსწავლეები შეთანხმდნენ, რომ ადამიანს, როგორც კეთილისა და ბოროტის ბრძოლის განსახიერების არეალს, არაერთი მხატვრული ნაწარმოები წარმოგვიდგენს. სასკოლო სახელმძღვანელოში შეტანილი ნაწარმოებების გვერდით, გაჩნდა ინტერესი კლასგარეშე თხზულებების მიმართ.

მოსწავლეები დაინტერესდნენ, იცნობდნენ თუ არა რომელიმე თანამედროვე ზღაპრის ავტორს და შეძლებდნენ თუ არა ისინი ავტორთან შეხვედრას, ერთ - ერთ გაკვეთილზე ასეთი თანამედროვე ავტორის-მეცნიერისა და მწერლის როზა დევდარიანის ფერადილუსტრაციებიანი ზღაპრის წიგნი „ უფლისა“ მოიტანეს და წაკითხვის შემდეგ გაჩნდა კითხვები:

რომელ ნაწარმოებებს გვაგონებს იდეურად „უფლისა“?

რას შეუძლია იხსნას ადამიანი უფლისას მაგალითის მეშვეობით?

ეს ის უმნიშვნელოვანესი კითხვები იყო, რომლებმაც დასაბამი მისცა პროექტის ჩამოყალიბებას და რომლის განხორციელებისთვის საჭირო დრო განისაზღვრა 21 -დღით - 3 კვირით, პროექტის მონაწილეები მეექვსე კლასელი 11-12წლის მოსწავლეები იყვნენ.

პროექტის მიზანი საინტერესო და სასარგებლო პერსპექტივას გვთავაზობდა, რადგან მოსწავლეები შეძლებენ:

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

- მხატვრულად წაიკითხონ და წარმოადგინონ ტექსტი.
- როლებში განასახიერონ ნაწარმოების პერსონაჟები.
- აუდიტორიამდე მიიტანონ მხატვრული ნაწარმოების მთავარი სათქმელი.
საბოლოოდ კი მოხდება:
მეტაშემეცნებისა და კოგნიტური აზროვნების (თანამშრომლობის, თვით-მონიტორინგის, მონაცემთა ანალიზისა და ინფორმაციის შეფასების უნარების) განვითარება;
მიმართულების მიმცემი საკვანძო კითხვების მეშვეობით გამოწვევების შექმნა სხვადასხვა ცხოვრებისეულ კონცეფციებთან კავშირის დასამყარებლად;
თითოეულ მოსწავლეში არსებული უნიკალური - ინდივიდუალური და შემოქმედებითი - პოტენციალის გამოვლენა ლიტერატურის სწავლების საფუძველზე;
ლიტერატურის თავისებურებებიდან გამომდინარე, მოსწავლეთა წინაშე საკუთარი თავისა და სამყაროს შეცნობის ინდივიდუალური პერსპექტივის გაჩენა და გათავისება;
პიროვნებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო გარემოში მოსწავლის მიერპიროვნული გამოცდილების საფუძველზე მხატვრულ ტექსტებში ასახული სიღრმისეული და ცხოვრებისეული პრობლემების გააზრება და შეფასება;
ლიტერატურასთან ურთიერთობის შედეგად მოსწავლის მხატვრული და ესთეტიკური გემოვნების, შინაგანი აქტიურობისა და თვითშემეცნების სურვილის გაღვივება და განვითარება.
პროექტი საგნობრივი სტანდარტის ეროვნული სასწავლო გეგმის შემდეგ პუნქტებს ეყრდნობოდა:
ქართ. VI. 3. მოსწავლეს შეუძლია მართებულად წარმართოს საკუთარი სამეტყველო ქცევა მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
• საკუთარ კომუნიკაციურ ქცევას უსადაგებს შესაბამის კონტექსტს;
ქართ. VI. 6. მოსწავლეს შეუძლია წაუკითხოს მსმენელს ტექსტი/ნაწყვეტი.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
• წაკითხვამდე გაიაზრებს ტექსტის შინაარსს;
• ინტონაციით გამოხატავს ტექსტში ასახულ ემოციებს;
• იყენებს ინტონაციას სასვენი ნიშნების ფუნქციით;
• კითხვის პროცესში ცდილობს მხედველობითი კონტაქტის დამყარებას აუდიტორიასთან.
ქართ. VI. 7. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მხატვრული და არამხატვრული ტექსტების წაკითხვა და გაგება-გაანალიზება.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
• ამოიცნობს ტექსტის საკომუნიკაციო სიტუაციას (მიზანს, ავტორს, ადრესატს);
ქართ. VI. 8. მოსწავლეს შეუძლია დამოუკიდებლად წაიკითხოს სხვადასხვა სახისა და ნაირგვარი შინაარსის ტექსტები.
ქარ. VI. 12. მოსწავლეს შეუძლია მედიატექსტების გაანალიზება; აქვს მულტიმედია

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

ტექსტებზე მუშაობის საწყისი უნარ-ჩვევები.

- ქმნის მისთვის საინტერესო პერსონაჟის წარმოსახვით პორტრეტს;
- წარმოიდგენს და აღწერს წაკითხული ან მოსმენილი ტექსტის ერთი ეპიზოდის ამსახველ სცენას
- სწორად „ამოიკითხავს“ ტექსტის ინტონაციას, პაუზებს, აზრობრივ აქცენტს მოსწავლეებთან ერთად დავისახეთ სტრატეგიული ამოცანები:
I ამოცანა: სასკოლო საზოგადოებისთვის ინფორმაციის გაცნობა;
II ამოცანა: პრაქტიკული ღონისძიებების დაგეგმვა;
III ამოცანა: პროექტის შეჯამება/შეფასება;
- პროექტის განხორციელების წინაპირობა იყო:
- სამუშაო ჯგუფების შექმნა;
- სკოლის ადმინისტრაციისგან შესაბამისი მხარდაჭერისა და საჭირო რესურსების მოძიება;
- რისკ -ფაქტორების იდენტიფიცირება;
- მასალების მოძიება;
- კომპეტეტური პირების საკონტაქტო მონაცემების დადგენა-ადვოკატირება
- სკოლებში მსგავს თემატიკაზე განხორციელებული პროექტის მონაწილეებთან შეხვედრა(გამოცდილების გაზიარება);
- რესურსების განსაზღვრა და მოძიება.
პროექტის ფარგლებში რამდენიმე მნიშვნელოვანი აქტივობა განვახორციელეთ: ღონისძიების მომზადების დასაწყისში მეთოდით ვიცი - მინდა ვიცოდე ვისწავლე მოსწავლეები აზუსტებენ ლიტერატურული ზღაპრისმნიშვნელობას, დანიშნულებას და მიზანდასახულებას. ტექსტზე და ილუსტრაციებზე დაკვირვებით მოსწავლეები თავად ადგენენ საჭირო დეტალებს მინისპექტაკლისათვის, ხატავენ და ქმნიან ილუსტრაციებს, სლაიდ-შოუს,რამდენიმე მოსწავლეს ევალება საანალიზო ტექსტის შედგენა და საანალიზო ესე სახით წარმოდგენა, ვინიშნავთ ვინ უკეთ კითხულობს გამოყოფილ ტექსტს, ვისი ხმა შეეფერება კონკრეტულ ეპიზოდს. მოსწავლეები სათანადო ფორმებს , მუსიკალურ ჩანაწერებს დასაჭირო რესურსებს ეძებენ და აგროვებენ ღონისძიებისათვის.
- მოსწავლეები უნდა ფლობდნენ კითხვის კარგ ტექნიკას, მხატვრულად შეეძლოთ ტექსტის წარმოდგენა, შეძლონ შეასრულონ როლები, ჰქონდეთ სათანადო ემოციის გამოხატვის უნარი, კომპიუტერთან მუშაობის საბაზისო უნარ-ჩვევები, სლაიდ შოუს მომზადების ცოდნა.

სასწავლო პროცედურები:

1. კვირა - მთელი კლასის მასშტაბით გადანაწილდა როლები;
2. კვირა - მომზადდა მთხრობელი ავტორის და ცალკეული პერსონაჟის ტექსტები;
3. კვირა -რამდენიმე მოსწავლემ მოამზადა საანალიზო ესე, შემზადდა სცენა და ტექნიკური საშუალებები ჩვენებისათვის;

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

პროექტის იდეის წარდგენა სკოლის ადმინისტრაციის, მასწავლებლების და მოსწავლეების წინაშე, რაშიც თავიანთ როლს ასრულებდნენ მოსწავლეები, მასწავლებელი, სკოლის ადმინისტრაცია.

სამუშაო ჯგუფების შექმნა და ფუნქციების დელეგირება-შემთხვევითობის პრინციპით შეიქმნა ჯგუფი, რომლის წევრები იყვნენ მოსწავლეები, მასწავლებელი.

სასკოლო თემის სოციოლოგიური კვლევა/ანკეტირება გამოკითხვა წარმართეს მოსწავლეებმა სასკოლო თემში.

სემინარული მუშაობა მომავალ მომხსენებლებთან ჩატარდა მეცნიერებისა და სასკოლო თემის მონაწილეობით.

სკოლის ბიბლიოთეკაში მითითებული მხატვრული ნაწარმოების მოძიება, წიგნის მაღაზიებში შეძენა, პერსონაჟებთან დაკავშირებით ჰიპოთეზებისა და ვარაუდების ჩამოყალიბება - განხილვაში მონაწილეობდნენ ჯგუფები და მასწავლებელი.

ლიტერატურული ზღაპრები და საანალიზო ესეები შეიქმნა მოსწავლეების მიერ მასწავლებლის ხელმძღვანელობით.

ვიზიტის შედეგად ტელევიზიასა და რადიოში მივადწიეთ სასკოლო და, ზოგადად, საზოგადოების ინფორმირებას, წარმართა ერთგვარი სარეკლამო კამპანია, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსწავლეები და მასწავლებელი.

საგანმანათლებლო მიზნით სხვადასხვა რესურსის მოძიება (მხატვრული ტექსტები, პროექტორი, ნოუტბუკი, მეხსიერების ბარათები, საჭირო ვებ-გვერდები, ქსეროასლები, მუსიკალური ჩანაწერები, ციფრული აპარატები, ბიბლიოთეკა, ინტერნეტი, სათანადო ფორმები და სხვ.) დაევალა სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფს.

ბოლო აკორდად იქცა პროექტის შეჯამება - შეხვედრა მწერალთან მრგვალი მაგიდის ირგვლივ, პრეზენტაცია ჩატარდა სასკოლო თემის წარმომადგენლების, მოწვეული სტუმრების წინაშე.

მონიტორინგი ხორციელდებოდა პროექტის სამუშაო გეგმის მიხედვით. პროცესი ეფუძნებოდა გეგმაში მითითებულ საკითხთა ანალიზსა და შესრულების ხარისხს, ასევე ვადას. თითოეულ დაგეგმილ აქტივობასთან, რომელიც ამა თუ იმ ამოცანის მიზნის მისაღწევად იყო საჭირო, სრულდებოდა შემდეგი ინტერაქტიური პროცედურები: მონიტორინგის დამადასტურებელი რეფლექსიური ჩანაწერები, ინტერაქტიური კითხვარები, სახალისო მანიპულატივები.

პროექტის განხორციელების რისკები და შესაძლო ხარვეზები და მათი თავიდან აცილების გზები.

შინაარსობრივი სამუშაო: სკოლაში პედაგოგთა და მოსწავლეთა (VI-XII კლასები) ანკეტირება, წინასწარ შედგენილი კითხვარით ლიტერატურული ტექსტის კითხვასთან დაკავშირებული პრაქტიკული ღონისძიებების სისტემურობის შესახებ.

მოვაგვარეთ: მოცემულ ვადაში ჩვენ წარმატებით გავართვით თავი შემდეგ სამუშაოს:

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

დროულად და ეფექტურად შევძელით ჩვენი სკოლის პედაგოგთა და მოსწავლეთა რაოდენობრივი მეთოდით კვლევის განხორციელება, კერძოდ ანკეტირების გზით.

რისკ-ფაქტორი: გამოსაკითხი 100 მოსწავლიდან 12 მოსწავლემ ვერ მიიღო ანკეტირებაში მონაწილეობა საპატიო მიზეზების გამო. ასევე 50 მასწავლებლიდან აღნიშნულ ვადაში ვერ მოვახერხეთ 3 მასწავლებელთან დაკავშირება საპატიო მიზეზების გამო. გადაჭრის გზა: დროულად შევადგინეთ სარეზერვო სიები და წინასწარ გადავამოწმეთ გამოსაკითხ პირთან საკონტაქტო ინფორმაციები.

რისკ-ფაქტორი: მწერლის სტუმრობის შესაძლებლობა და მისი ჩანაფიქრის წვდომა.

გადაჭრის გზა: სასკოლო პროექტის მიმდინარეობაში აქტიურ როლს იკავებდა მშობელთა ჩართულობა, სწორედ მათი თანადგომით წინასწარ იქნა დადგენილი და შეთანხმებული სტუმართან შეხვედრის დრო, ასევე მოსწავლეთა დიდი პასუხისმგებლობა და მონდომება - მიახლოვებოდნენ მწერლის შეხედულებას.

პროექტის მოსალოდნელი შედეგის მიხედვით მოსწავლეებს შეეძლებათ მწერლის შემოქმედების გააზრება სუბიექტური (მწერლის ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტები და მომენტები) და ობიექტური (ეპოქის ზოგადი კონტექსტი) ფაქტორების გათვალისწინებით. მოსწავლეები მიიღებენ ცოდნას შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებზე:

- მოსწავლეების მიერ საზოგადოებისათვის თავიანთი ნამუშევრის წარდგენა, საზოგადოებასთან ურთიერთობა
- ტექსტიდან შესაბამისი ინფორმაციის ამოკრება; ვიზუალური მასალის მოძიება და შერჩევა ინტერნეტით და ციფრული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. მომზადებული პროექტის სახით თითოეული მოსწავლის სხვადასხვა მიმართულებით გაწეული პერსონალური შრომის კონკრეტული შეჯამება.

მოსწავლეები პროექტზე მუშაობისას განავითარებენ და შეიძენენ შემდეგ უნარებს:

- კრიტიკული აზროვნება-ამოცნობა, აღწერა, ანალიზი, ალტერნატივები, შეფასება.
- სისტემური და რეფლექსიური აზროვნება;
- ცვლილებების დაგეგმვა და მართვა;
- ცოდნის გამოყენება/ტრანსფერირება სხვადასხვა კონტექსტში;
- გადაწყვეტილების მიღება;
- კრიზისისა და რისკების მართვა;
- ეფექტური კომუნიკაცია.

მოსწავლეებს პროექტზე მუშაობისას ჩამოუყალიბდებათ შემდეგი დამოკიდებულებები-ღირებულებები/ინტერესი.

- ინტერესი ჰუმანიტარული სფეროს მიმართ;
- თანამშრომლობის სურვილი;
- კითხვის სიყვარული;
- მწერლობისა და მწერალთა მიმართ ზრუნვის, პასუხისმგებლობის განცდა და მათთან ურთიერთობის სურვილი;

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

- ერთმანეთის მიმართ პასუხისმგებლობის შეგრძნება პროექტის შემდეგ მოსალოდნელი მოკლევადიანი შედეგები: მოსწავლეები კლასში სახალისო აქტივობით(საკლასო კონკურსი: კვირის საუკეთესო მკითხველი) საფუძველს ჩაუყრიან სამომავლოდ რუტინული კითხვის პრაქტიკულ ჩვევას;
- გრძელვადიანი შედეგები: აიმაღლებენ ლიტერატურულ ცნობიერებას და გახდებიან აქტიური მკითხველები, ნორჩი თეატრალები და მომხსენებლები. გაუზიარებენ სხვებს თავიანთ გამოცდილებას;
 მოსწავლეთა მიერ შექმნილი საინფორმაციო რესურსები(ესეები) ბროშურების სახით აიმაღლებს თვითშეფასების კრიტერიუმებს და მიზნობრივი ლიტერატურით შეივსება საკლასო ბიბლიოთეკის ზონა.
 ზოგადად, პროექტის მიზნის მისაღწევად მოსწავლეებმა დაასკვნეს, რომ საჭირო გახდა სხვადასხვა საგნობრივ დისციპლინებში მიღებული ცოდნის გამოყენება, რომლის ტრანსფერირება და პრაქტიკული დახვეწა შესაძლებელი აღმოჩნდა ღონისძიებების განხორციელების დროს. გააქტიურებული იქნა წინარე ცოდნა (ხალხური, ლიტერატურული ზღაპარი) და პროცესის თანმიმდევრობამ ხელი შეუწყო ახლის დაშენებას-კონსტრუქტივისტული სწავლება(ლიტერატურული ზღაპარი - სიმბოლოებისა და იდეების ჩვენება). ასევე წინასწარი მზაობის ჩამოყალიბება ხდება პოზიტიური მიმართულებით, ზოგადად, ჰუმანიტარული დისციპლინებისადმი. პროექტის მოსალოდნელი შედეგისათვის უმნიშვნელოვანესი იყო ის, რომ მოიცავდა საგანმანათლებლო მიზნებთან ერთად აღმზრდელობით მიზნებსაც, რომლებიც ხელს უწყობს მოზარდებში სამოქალაქო და სოციალური ცნობიერების ჯანსაღი ფორმით ჩამოყალიბებას. მთელი პროექტის მიმდინარეობისას ამჟღავნებდნენ როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ ინტერესს, ანგარიშს უწევდნენ ერთმანეთის მოსაზრებებს, კრიტიკულად აფასებდნენ შექმნილ სიტუაციებს, შეთანხმება ხდებოდა სამუშაოს ჩარჩოებზე-შესაძლებლობებისა და ინტერესის გათვალისწინებით.
 შეიძლება ითქვას, რომ ზნეობრივი აღზრდის უმნიშვნელოვანესი პოსტულატების გამოკვეთა-გაცნობიერების პროცესი ორგანულადაა დაკავშირებული ისეთ მნიშვნელოვან მოვლენასთან სწავლებაში, როგორც კითხვის უკეთესად დაუფლების სტრატეგიაა. თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში მასწავლებელს საკმაოდ ფართო შესაძლებლობები აქვს, რათა ეფექტურად შეძლოს მიაღწიოს სასურველ შედეგს და აღზარდოს არა მარტო კითხვის კარგი ტექნიკის მქონე , არამედ სრულყოფილად განვითარებული და მაღალი ზნეობრივი ღირებულებებით გამსჭვალული მოქალაქე,რაც სწავლა - აღზრდის საბოლოო უმაღლეს მიზანს წარმოადგენს.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

ლიტერატურა:

1. როზა დევდარიანი „უფლისა“, გამომცემლობა „ქუთაისი“, 2013 წელი
2. იან პელინი „იან ბიბიანი“, გამომცემლობა „ნაკადული“ 1982 წელი
3. კრისტოფ ფონ შმიდსი „როგორ შეიცნო ღმერთი ჰაინრიხმა“ 1989 წელი
4. ნანა კუცია „უფლისას“ პარადიგმული სახეები“ „ჩვენი მწერლობა“, 2013 წელი
5. ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი“